ქვეყნის ეკონომიკური მოდელის ღირებულებითი განსაზღვრულობა

შოთა ვეშაპიძე, სტუ-ს პროფესორი

რეზიუმე

იმისათვის, რომ ქვეყნისთვის მისაღები ეკონომიკური მოდელი გამოვარკვიოთ, უპირველეს ყოვლისა შემდეგ კითხვებს უნდა ვუპასუხოთ: რა მთავარი მიდგომებით უნდა შემოვიფარგლოთ ცხოვრების რეალობათა ამსახველი ეკონომიკური მოდელის შეფასებისას? როგორია ის იდეალური მოდელი, რომლის დანერგვისთვისაც დღენიადაგ უნდა ვისწრაფვოდეთ? რა გვაქვს ამისთვის ჩვენი საკუთარი და ვისგან და რა ღირებულებების გადმოღება იქნება სასურველი?

უფრო ბედნიერი და კმაყოფილი იმ ქვეყნის მცხოვრებია, სადაც ადამიანი არის თავმომწონე, გამბედავი, თავისუფალი, მედგარი, გულდაგული. იქ კი, სადაც, ცხოვრება გაუფასურებულია, გაბატონებულია უარყოფითი ღირებულებანი და ადამიანი არის გულჩათუთქული, ილაჯგაწყვეტილი, მფრთხალი, გათელილი, სასოწარკვეთილი, შეშინებული, ადამიანი არის წარუმატებელი. მთავარი რეალურ ცხოვრებაში, მისი განმსაზღვრელი არის ღირებულება, კერძოდ კი საკუთრება.

ისტორიული მაგალითები გვიდასტურებს, რომ საკუთრების, კერძო საკუთრების უფლების განხორციელება არის ძალზედ მნიშვნელოვანი, ხალხის გაძლიერების, სიკეთისა და ბედნიერების მომტანი ღირებულება. ამიტომაცაა, რომ „კერძო საკუთრება ქვაკუთხედად უდევს მთელს სახელმწიფურს და საზოგადოებურ წყობას, მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე".

ღირებულებები, რომლის დანერგვაც უნდა გვინდოდეს, კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული ევროკავშირის ლისაბონის კონვენციაში. საქართველოს და ევროპას საერთო ღირებულებები აერთიანებთ. საქართველოს შეუძლია ბევრი რამ ისწავლოს ევროპისაგან. საქართველო ევროპის ნაწილია. საქართველომ უნდა აიღოს ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც ევროპაში ინტეგრაციისთვისაა საჭირო. ჩვენ ევროპისკენ უნდა გადავდგათ ნაბიჯები. იმისათვის, რომ ხალხის ცხოვრება გავაუმჯობესოთ, საჭიროა თითოეული მოქალაქე ჩავაყენოთ ქვეყნის სამსახურში და ვიშრომოთ თავდაუზოგავად. ყველაზე უფრო პრიორიტეტული ის არის, რომ ვემსახუროთ სამყაროს ყველაზე მთავარ, უნიკალურ ღირებულებას – თითოეულ ადამიანს.

summary

In order to be acceptable to the country‘s economic model is to find out , first of all, to answer the following questions : What are the main approaches to estimating the economic model which reflects the realities of life ? What ,s the ideal model? , What do we have for our own and at what cost to the desired transmission ?

More happy and satisfied are inhabitants of the country, where people are proud, courageous , independent. There are , where life is impaired, negative values dominate and people are desperate , terrified , unsuccessful. The main real life , its determinant is a value , namely the property.

Historical examples we observe that the ownership of private property rights is very important to people‘s empowerment , bringing the value of kindness and happiness, so that „ private property is the cornerstone of the entire countries, that‘s what promoted throughout the life of the countries all over the earth .

Values ,which the introduction should want , is formulated specifically to the EU Lisbon Treaty . Georgia and Europe integrates the same values. Georgia can learn a lot from Europe . Georgia part of Europe . Georgia must take a greater responsibility in Europe integration required . We need to take steps towards Europe . In order to improve people’s lives , we need to put each and every citizen of the country and work hard . The most important thing is to serve the world ‘s most important , unique value , for each person.

****

მოდელებს ეკონომისტები ცხოვრების რეალობათა შესასწავლად იყენებენ. განსაზღვრულობა კი მის შეზღუდულობას, გარკვეულობას ნიშნავს. იმისათვის, რომ ქვეყნისთვის მისაღები ეკონომიკური მოდელი გამოვარკვიოთ, უნდა განვსაზღვროთ რის მიღწევას ვისახავთ მისი მეშვეობით. ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა შემდეგ კითხვებს უნდა ვუპასუხოთ: რა მთავარი მიდგომებით უნდა შემოვიფარგლოთ ცხოვრების რეალობათა ამსახველი ეკონომიკური მოდელის შეფასებისას? როგორია ის იდეალური მოდელი, რომლის დანერგვისთვისაც დღენიადაგ უნდა ვისწრაფვოდეთ? რა გვაქვს ამისთვის ჩვენი საკუთარი და ვისგან და რა ღირებულებების გადმოღება იქნება სასურველი?

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ადამიანთა კეთილდღეობას ორი მთავარი მდგენელი განაპირობებს. ერთია მატერიალური მხარე, ანუ ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობები და მეორე იდეალური, ის ღირებულებანი, რომლითაც რეალური ცხოვრება არის გამსჭვალული. ორივე აუცილებელია და ერთ-

მანეთის გარეშე არც არსებობენ. მაგრამ მათ შორის უპირველესი, განმსაზღვრელი არის ღირებულებები. ადამიანი, უფრო ბედნიერი და კმაყოფილი ისეთ საზოგადოებაშია სადაც მისი უფლებები არის დაცული. შეიძლება გავიხსენოთ ორი ისტორიული მომენტი, რომლებიც კარგად აქვს ჩამოყალიბებული ილია ჭავჭავაძეს. იგი აღნიშნავდა, რომ რაც უნდა მეტი ეკონომიკური რესურსები ჰქონდეს ქვეყანას ბოძებული, ხალხთა კეთილდღეობისათვის მარტო ეს საკმარისი არ არის. 1877-1881 წლებში დაწერილ ნაშრომში "ცხოვრება და კანონი," ი. ჭავჭავაძე წერს: "ბუნებამ, რაც უნდა სიმდიდრით მორთოს პომელიმე მხარე, ანუ ქვეყანა, რაც უნდა მრთელი ჰავა მისცეს ადამიანს საცხოვრებლად და ნაყოფიერი მიწა საზრდოებისათვის, მაინც-დამაინც ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველგვარის წარმოებისა, თუკი კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისი უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერობაზედ". [3. გვ.7].

აღნიშნულის დასაბუთებისათვის, ი. ჭავჭავაძე ერთმანეთს ადარებს შოტლანდიელისა და სპარსელის ცხოვრებას და არკვევს რომელია უფრო ბედნიერი და კმაყოფილი. ასეთი კი იმ ქვეყნის მცხოვრებია, სადაც ადამიანი არის თავმომწონე, გამბედავი, თავისუფალი, მედგარი, გულდაგული კაცი. იქ კი, სადაც, ცხოვრება გაუფასურებულია, გაბატონებულია უარყოფითი ღირებულებანი და ადამიანი არის გულჩათუთქული, ილაჯგაწყვეტილი, მფრთხალი, გათელილი, სასოწარკვეთილი, შეშინებული, ასეთი ადამიანი არის წარუმატებელი. როგორც ი. ჭავჭავაძე წერს, აღნიშნულის მთავარი მიზეზი "ის არის, რომ ბედნიერმა შოტლანდიელმა იცის "ჩემი აქ თავდებაო და სხვისა აქ იწყებაო", უბედურს სპარსელს კი არც თავისი გაეგება და არც სხვისა.

რაც სხვისაა, - ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია, - ეგ ჩემი უფლებაა.

უფლება და მოვალეობა.... არიან პირველნი და უკანასკნელნი საგანნი ურთიერთშორის განწყობილებისა..." [3,გვ.8].

აქედან კარგად ჩანს, რომ მთავარი რეალურ ცხოვრებაში, მისი განმსაზღვრელი არის ღირებულება, კერძოდ კი საკუთრება. საკითხს მეტი ნათელი რომ მოვფინოთ, გავარკვიოთ, რატომ არის საკუთრება ღირებულება?

1847 წელს ირლანდიაში "დიდი შიმშილი" დაიწყო. შემდგომი სამი წელიც ზედიზედ საშინლად მოუსავლიანი იყო. 1847 წლიდან 1861 წლამდე კარტოფილის მოსავალი ველარ მოშენდა, სისტემატურად იკლებდა. ამ ხანებში მრავალი ხალხი შიმშილით გაწყდა, მარტო 1847 წელს ნახევარი მილიონი ადამიანი შიმშილით დაიღუპა. ამის მთავარი მიზეზი იყო ინგლისის მიერ ირლანდიაში შემოტანილი არისტოკრატული წესი მიწათმფლობელობისა, რომელმაც გლეხობა უმამულოდ, ცარიელი დატოვა. 1841-1861 წლებში ამერიკაში გადავიდა საცხოვრებლად თითქმის 2,4 მილიონი ირლანდიელი. დაეპატრონნენ რა "აუარებელ ტიტველა მინდვრებს", მათ მიწათმოქმედების ისეთი უნარი გამოავლინეს, რომ ამერიკისთვისაც დიდი სარგებელი მოჰქონდათ და ირლანდიაში დარჩენილ თავის ნათესავებსაც არსებობის სახსარი მოაშველეს. ამ ისტორიული მაგალითით ნათლად დასტურდება როგორი უსუსურია უმამულო, საკუთრებას მოკლებული ხალხი და რამდენად ბევრის შემძლეა ხალხი, რომელსაც ამ შემთხვევაში მიწის, მამულის სახით თავისი საკუთრება ხელთ უპყრია. Mოჰყავდა რა აღნიშნული ეპიზოდი, ნაშრომში "ირლანდია და ინგლისი," ი. ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „17 წლის განმავლობაში ამერიკაში გადასახლებულთ ირლანდიელთ თავის ნათესავებს, ირლანდიაში დარჩენილებს, მოაშველეს სამას ოცდახუთი მილიონი ფრანკი. ორ წელიწადში - 1852-1854 წ. - ას თოთხმეტი მილიონი გამოუგზავნეს. თუ ირლანდიელი მართლა ხასიათდაცემულია, ავის თვისების კაცია, ლოთი, მცონარე, უმეცარი გაუფრთხილებელი ბედოვლათია, საიდამ შეაგროვა ამოდენა სიმდიდრე ამერიკაში, რომ არამცთუ თვითონ გამოიკვება და ირჩინა თავი, არამედ ამოდენა უშველებელი ფული თავის გაჭირვებულ მოძმეთ მოაშველა შორიდამ, მერე ვინა? გახიზნულმა კაცმა, თავის ბინიდამ, სამშობლოდამ აყრილმა და უცხო ქვეყანაში ახლად დაშენებულმა. ეს მაგალითები უტყუარი საბუთია მისი, თუ რა ძალი ჰქონებია ხალხს, ოდეს მამული ხელთ უპყრია, და რა უღონო, უძლური, მშიერ-მწყურვალი ყოფილა, როცა სიკეთე ხელიდამ გამოსცლია." [5,გვ.35].

ამგვარად, ისტორიული მაგალითები გვიდასტურებს, რომ საკუთრების,კერძო საკუთრების უფლების განხორციელება არის ძალზედ მნიშვნელოვანი, ხალხის გაძლიერების, სიკეთისა და ბედნიერების მომტანი ღირებულება. Aამიტომ იყო, რომ 1905 წელს, ილია აღნიშნავდა: "კერძო საკუთრება ქვაკუთხედად უდევს მთელს სახელმწიფურს და საზოგადოებურ წყობას, მთელს ცხოვრებას დაწინაურებულ ქვეყნებისას მთელ დედამიწის ზურგზე". [5,გვ.280].

შესანიშნავად აქვს ნათქვამი ცნობილ ლიბერტარიანელს, რიჩარდ პაიპსს: "მაშინ, როცა შესაძლებელია საკუთრების ამა თუ იმ ფორმის არსებობა თავისუფლების გარეშე, თავისუფლების არსებობა საკუთრების გარეშე სრულად წარმოუდგენელია" (რიჩარდ პაიპსი. საკუთრება და თავისუფლება. რედაქტორები: არმაზ ახვლედიანი, მიხეილ ნიშნიანიძე, გამომცემლობა "დიოგენე" - თბილისი, 2004 გვ.15).

ისტორიული ეპიზოდების განხილვას ეკონომიკაში დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ამ ეპიზოდების შესწავლა მიზანშეწონილია იმიტომ, რომ ისინი, გარკვეულწილად, ნათელს ჰფენს წარსულს ეკონომიკას და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, საშუალებას გვაძლევს, აღვწეროთ და შევაფასოთ

დღევანდელი ეკონომიკური თეორიები. [1,გვ. 21].

განხილული ეპიზოდები გვაძლევს იმის გაგების საშუალებას, რომ გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები და დასაბუთებული პასუხები გაეცეს ჩვენს მიერ დასმულ მთავარ კითხვებს. ცხოვრების რეალობათა ამსახველი ეკონომიკური მოდელის შეფასებისას უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ეკონომიკური მოდელის წარმატების განმაპირობებელი უფრო მთავარი მხარე არის ღირებულებები, მისი ღირებულებითი განმსჭვალულობა. ამიტომ, ის იდეალური მოდელი, რომლის დანერგვისთვისაც დღენიადაგ უნდა ვისწრაფვოდეთ, უპირველეს ყოვლისა ქვეყნის სასურველობებს, ღირებულებებს უნდა ეფუძნებოდეს. მაგრამ როგორია კონკრეტულად ის ღირებულებები, რომლის დანერგვაც უნდა გვინდოდეს? ამ კითხვასაც პასუხი უნდა გაეცეს.

როგორც ვაჟა-ფშაველას მიაჩნდა, კოსმოპოლიტი ვერ გახდები, თუ პატრიოტი არ ხარ. Eეს არის ჭეშმარიტება. კოსმოპოლიტობა ხომ სხვის, სხვა ერის, სხვა ქვეყნის მოქალაქეების სიყვარულს, მათ შეყვარებას ნიშნავს. მაგრამ, ამისთვის ჯერ თვით "სიყვარული" უნდა ისწავლო. ეს კი იქ იწყება და სწავლობ, "სადაც შობილხარ, გაზრდილხარ". მისი მარადიული მასაზრდოებელი ფესვებიც სწორედ იქაა. მოსწყდები თუ არა მას, გადაგვარდები და დაიღუპები.

ერი ცოცხალი ორგანიზმია. ყველა ცოცხალი ორგანიზმი კი თვითგადარჩენისა და თვითდამკვიდრებისთვის ისწრაფვის. მთავარი ორიენტირი ამისთვის სწორედ ევროპული გაერთიანების ქვეყნებმა მგვცეს. ამ თვალსაზრისით მათ რაიმე კი არ დაკარგეს, პირიქით, რაც კი რამ კარგი ჰქონდათ, ტრადიციები, ადათები და წესჩვეულებები შეინარჩუნეს, აღადგინეს და განამტკიცეს, ერთმანეთს გაუზიარეს და ამ სინერგიის განხორციელებით, ერთმანეთთან თანამშრომლობით, ერთმანეთი კიდევ უფრო გააძლიერეს და მეტად დაიცვეს. სწორედ ამიტომ მიიჩნევენ ევროპულ ღირებულებებს ყველაზე მისაბაძად, საითაც ჩვენც უნდა ვისწრაფვოდეთ, რაც ჩვენც უნდა გვინდოდეს.

ღირებულებები, რომლის დანერგვაც უნდა გვინდოდეს, კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული ევროკავშირის ლისაბონის კონვენციაში.

ლისაბონისხელშეკრულება მკაფიოდ ადგენს ეკ-ის მიზნებს და მის სწრაფვას მშვიდობის, დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვის, სამართლიანობის, თანასწორობის, კანონიერების და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. ამ ხელშეკრულების შესაბამისად ეკ-მა უნდა: უზრუნველყოს თავისუფლების, უსაფრთხოების და სამართლიანობის ზონათა არსებობა შიდა საზღვრების გარეშე; ხელი შეუწყოს ევროპის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას ეკონომიკის დაბალანსებული ზრდის და ფასების სტაბილურობის, ასევე მაღალკონკურენტული სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის საფუძველზე, გარდა ამისა, სწრაფვით სრული დასაქმებისა და სოციალური პროგრესისკენ, გარემოს დაცვის მაღალი დონის უზრუნველყოფისკენ; იბრძოლოს სოციალური იზოლაციის და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ამასთანავე ხელი შეუწყოს სოციალური სამართლიანობის და დაცვის უზრუნველყოფას; ხელი შეუწყოს ეკ-ის წევრი-ქვეყნების ეკონომიკურ, სოციალურ და ტერიტორიულ მთლიანობას და მათ შორის სოლიდარულობას; ისწრაფოდეს მტკიცე ეკონომიკური და სავალუტო კავშირის შექმნისკენ, რომელიც გამოიყენებს ევროს ვალუტის სახით; იცავდეს ეკ-ის ფასეულობებს და ხელს უწყობდეს მათ გავრცელებას მთელ მსოფლიოში, აგრეთვე ინარჩუნებდეს მთელ მსოფლიოში მშვიდობას, უსაფრთხოებას და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, ასევე ნერგავდეს სოლიდარობას და პატივისცემას ადამიანებს შორის, ამასთანავე მხარს უჭერდეს თავისუფალ და პატიოსან ვაჭრობას, სიღატაკის აღმოფხვრას; უზრუნველყოფდეს ადამიანის უფლებათა დაცვას, განსაკუთრებით ბავშვთა უფლებების, აგრეთვე – საერთაშორისო კანონმდებლობის დაცვასა და განვითარებას, მათ შორის გაერო-ს წესდების პრინციპთა პატივისცემას; ასეთია მისი ძირითადი მიზნები. ლისაბონის ხელშეკრულება დაიდო იმისთვის, რომ ეკ-ს მისცეს სახსრები (საშუალებები) მათ მისაღწევად.

საქართველოს და ევროპას საერთო ღირებულებები აერთიანებთ. საქართველოს შეუძლია ბევრი რამ ისწავლოს ევროპისაგან. საქართველო ევროპის ნაწილია. საქართველომ უნდა აიღოს ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც ევროპაში ინტეგრაციისთვისაა საჭირო. ჩვენ ევროპისკენ უნდა გადავდგათ ნაბიჯები.

იმისათვის, რომ ხალხის ცხოვრება გავაუმჯობესოთ, საჭიროა თითოეული მოქალაქე ჩავაყენოთ ქვეყნის სამსახურში და ვიშრომოთ თავდაუზოგავად. ყველაზე უფრო პრიორიტეტული ის არის, რომ ვემსახუროთ სამყაროს ყველაზე მთავარ, უნიკალურ ღირებულებას – თითოეულ ადამიანს. ამ მიზნით საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე თავისი საპროგრამო სიტყვით გამოსვლისას ხალხისა და მთავრობის უპირველეს ამოცანებს შორის განსაზღვრა: 1. ვინაიდან, თითოეული ადამიანი არის განუმეორებელი, უნიკალური უმაღლესი ღირებულება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ხალხის უმრავლესობის უკიდურეს გაჭირვებას უნდა დავაღწიოთ თავი; 2. საჭიროა დემოკრატიული ინსტიტუტიების განვითარება. უნდა დავამკვიდროთ კანონის უზენაესობა და აღვადგინოთ სამართლიანობა ქვეყანაში. არც ერთი დანაშაული, თუ ის მტკიცებულებებით იქნება გამყარებული, არ უნდა დარჩეს დაუსჯელი. ყველამ, ვისაც უკანონობაში ექნება მონაწილეობა მიღებული, პასუხი უნდა აგოს კანონის წინაშე – მხოლოდ კანონისა და სასამართლოს ძალით. შესწავლილი უნდა იქნეს საკუთრების უფლების ტოტალური დარღვევის შედეგად შექმნილი ვითარება, აგრეთვე, საქართველოში ბოლო წლებში გავრცელებული „ელიტარუ-

ლი კორუფციის“ მასშტაბები და უნდა შემუშავდეს მათი აღმოფხვრის მექანიზმები; 3. ქვეყანამ უნდა განახორციელოს ფართომასშტაბიანი რეფორმები ყველა სტრატეგიული მიმართულებით და მთავრობის პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს საქართველოს მოსახლეობის მკაფიოდ გამოხატულ ინტერესებს. ამისათვის სამთავრობო პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში აქტიურად უნდა იქნენ ჩამბული მოქალაქეები და სწორედ ეს უნდა გახდეს მთავრობის მუშაობის საფუძველი; 4. უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო სტაბილურობა მმართველობის დაბალანსებული და გაწონასწორებული მოდელის დადგენით, მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის არსებობისას. განვითარება ლიბერალურ-დემოკრატიულ რირებულებებზე დაფუძნებული ინსტიტუტები. გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები ევროკავშირისა და ნატოსთან ინტეგრაციის მიმართულებით. დაიწყება და შეუქცევადი გახდება ქვეყნის გამთლიანების პროცესი; 5. გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება რეალური თვითმართველობის ამოქმედებას; 6. მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებები იქნება ხელშეუხებელი; 7. გაცხადებული პრიორიტეტია ევროკავშირში გაერთიანებისკენ სწრაფვა, ევროატლანტიკური ორიენტაცია და ნატოში ინტეგრაცია; რუსეთთან დიალოგის დაწყება; არასამთავრობო სექტორის მნიშვნელოვანი გაფართოება; ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავება და წარმართვა დასავლური სტანდარტებისა და მეთოდების შესაბამისად; 8. საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ემყარება თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის საყოველთაო პრინციპებს და იმ თანამედროვე მიდგომებს, რომლებიც განსაზღვრავს სახელმწიფოს როლს სოციალური კეთილდღეობისა და სოციალური უსაფრთხოების საქმეში. მოხდება ეკონომიკის სტრუქტურული მოდერნიზება. განხორციელდება ექსპორტის სტიმულირება და იმპორტის ჩანაცვლება. შეიქმნება თავისუფალი, კონკურენტული საბაზრო გარემო. გამორიცხული იქნება მონოპოლიების არსებობა; 9. მთავრობა ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებად აცხადებს: სოფლის მეურნეობას, მცირე და საშუალო მეწარმეობას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამმამუშავებელ წარმოებას, აგრეთვე სოციალურ სფეროში-საპენსიო რეფორმას, ჯანმრთელობის დაცვის რეფორმას და უმწეო მდგომარეობაში მყოფთა დახმარების სისტემის მოწესრიგებას. შეიქმნება სტაბილური და პროგნოზირებადი ბიზნეს გარემო; 10. საგარეოსავაჭრო პოლიტიკის კუთხით პრიორიტეტულია საექსპორტო საბაზრო არეალების მნიშვნელოვანი გაფართოება, ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის ამოქმედება, რუსეთის ფედერაციასთან სავაჭრო ურთიერთობების აღდგენა; 11. მთავრობის მიერ შემუშავებული დასაქმების პოლიტიკის შედეგად შესაძლებელი გახდება საკუთარი კვალიფიკაციის და გამოცდილების შესაბამისი სამუშაო ადგილის მოძიება, ცოდნისა და უნარების გამოყენება. ჩამოყალიბდება ეფექტიანი და ცივილიზებული შრომის ბაზარი; 12. პრიორიტეტული მიმართებაა განათლება. განათლების სისტემა დაეფუძნება საყოველთაოდ აღიარებულ, თანამედროვე სტანდარტებს. შემუშავდება სახელმწიფო პოლიტიკა მეცნიერებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის კუთხით. მეცნიერება გახდება ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის საფუძველი. ხელი შეეწყობა ქართული კულტურის სივრცის მსოფლიოს კულტურულ სივრცეში ინტეგრაციას. გარანტირებული იქნება ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის დაცვა. [2,გვ. 2-3].

სულიერი წინსვლა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ერი ცალ-ცალკე, ჯგუფებად და წოდებათა დაუყოფლად, ერთიანი მეცადინეობით ცდილობს ცხოვრების გზის გაკვალვას, მისი საწინააღმდეგო გზა კი არის მომაკვდინებელი.

საზოგადოება, რომელშიც ყოველი ინდივიდი, ჯგუფი ან წოდება ცდილობს მხოლოდ თავისი ინტერესებით შემოიფარგლოს, მყარად ვერ ვითარდება. ასეთი წყობა, ასეთი აგებულების საზოგადოება ქვიშაზე აგებულ სახლს ემსგავსება, რომელიც მცირე წინააღმდეგობასაც ვერ გაუძლებს და პირველი ქარის შებერვისთანავე დაიფუშება. როგორც ეკონომიკური განვითარების ისტორიის გამოცდილება მოწმობს, ქვეყანაზე მარტო იმ ერს გაუძლია, წარმატება მოუპოვებია და გაძლიერებულა, რომელსაც მოუმარჯვებია „მოძღვრება მართალი და ჭეშმარიტი“. ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა: „ეხლა სულ სხვა დროა და ამ სხვა დრომ სხვა მოძღვრებაც მოიტანა, მოძღვრება მართალი და ჭეშმარიტი. ეხლა ცალკე კაცია, თუ ცალკე წოდება, მარტო ამას უნდა იძახდეს და მარტო ამისათვის უნდა ერჯოდეს გული, რომ თუ სხვანი კარგად არიან, მეც კარგად ვიქნებიო. ვინც დღეს ამას ივიწყებს, ის ივიწყებს საკუთარს თავსა, საკუთარს ბედნიერებას სულიერსა და ხორციელს.“ [4,გვ. 313].

ის საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელიც „დაიქადებს“, რომ „თუ მე კარგად ვარ, სხვანიც კარგად იქნებიანო“, ე.ი. საერთო ინტერესებთან შედარებით წინა პლანზე თავისას წამოსწევს და თავის ქონებრივ და გონებრივ ღონეს იმის ცდას შეალევს, რომ „ცალკე ვიყო და ცალკე ვბედნიერდებოდეო“, ამაოდ დაშვრება, რადგან ასეთი რამ შეუძლებელია. ამას ადასტურებს ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილება. აქედან ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ყველაზე მთავარი გაკვეთილი. „ყველამ ერთად და თითოეულმა ცალკე უნდა იცოდნენ, რომ იგი განუყოფელი ნაწილია მთელის ერისა და ამიტომაც თავის კეთილდღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელის ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე. არა გონიერმა კაცმა, რა წოდებისაც გინდ იყოს, ეს არ უნდა დაივიწყოს, თუ უნდა თავისი სიკეთე მკვიდრს საფუძველზე დაამყაროს.“ [4,გვ. 314].

იმისათვის, რომ ეკონომიკური პროგრესი შეუქცევადი გავხადოთ, აუცილებელია „ჩვენი ცხოვრება წარმოადგენდეს ერთს დიდებულს დენას შეერთებუ-

ლის ძალისას“, რომ „სიკეთე ერთობისა და ყველასათვის სახეიროდ გაიშალოს“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები, გამომცემლობა “დიოგენე” თბ., 2008.

2. „საქართველოს რესპუბლიკა“, №206 (7082), პარასკევი, 26 ოქტომბერი, 2012.

3. ჭავჭავაძე ი. ცხოვრება და კანონი. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტომი 6. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1956.

4. ჭავჭავაძე ი. წოდებათა თანასწორობა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტომი 8. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1957.

5. ჭავჭავაძე ი. ირლანდია და ინგლისი, თხზულებათა სრული კრებული 10 ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტომი 9. საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობა, თბ., 1957.

6. Ваш справочникпо Лиссабонскому договору. http://www.delrus.ec.europa.eu